ზუსტად 30 წელი გადის აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან, რომელიც დასრულდა 1993 წლის სექტემბერში სოხუმის დაცემით და რუსეთის მიერ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ოკუპაციით.

„იკითხო, ის თუ ვინ მოიგო ესა თუ ის ომი დაახლოებით იგივეა, რაც იკითხო ის, თუ ვინ მოიგო სან-ფრანცისკოს მიწისძვრა“ - წერდა ცნობილი მკვლევარი კ. უოლტი. გასაგებია, აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ ომის დროს ყველა მხარე ზარალდება ისევე, როგორც, ვთქვათ მიწისძვრის დროს. მაგრამ 14 აგვისტოს შედეგების კონტექსტში ეს პაციფისტური თეზისი ზელიბერალური იდეალიზმის და გარკვეულწილად უტოპიზმის ნიშნებსაც შეიცავს. რადგანაც სწორედ საქართველო დაზარალდა ყველაზე მეტად და მასშტაბურად დაზარალდა ტოტალურად და სისტემურად 14 აგვისტოს შედეგებმა რადიკალურად შეცვალა საქართველოს ისტორიული ტერიტორიული წესრიგი - მოიშალა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ტერიტორიული წესრიგი - მოიშალა ჩვენი ქვეყნის ეროვნული ტერიტორიის სტრუქტურული მთლიანობა. სისხლისმღვრელი ომის შედეგად რუსეთმა შეძლო, თავისი ძალებით და სეპარატისტებზე დაყრდნობით, ხელში ჩაეგდო ისტორიული ჩრდილო-დასავლეთ საქართველო - აფხაზეთი. ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთი და სეპარატისტები შეუდგნენ ქართული ცივილიზაციის ელემენტების გეგმაზომიერ ამოძირკვას. უნდა ითქვას, რომ რუსულ-სეპარატისტული ალიანსი მოქმედებდა ნახევრადველური დამპყრობლის მორალით და ანტიქართული პოლიტიკის განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა. ამისი მაჩვენებელია აფხაზეთის ქართული მოსახლეობის გენოციდი და ტოტალური ეთნიკური წმენდა ასევე ქართული კულტურული ძეგლების განადგურებისაკენ ან მეთოდური სახეცვლილებისაკენ მიმართული ეთნოციდის პერიოდული ტალღები. შედეგად რეგიონი კომპლექსურად მოსწყდა საქართველოს. ეს ყველაფერი განხორციელდა მიზანმიმართულად, წინასწარი დაგეგმვის გზით და არა სპონტანურად, ყბადაღებულ „ქართულ აგრესიაზე“ იძულებითი რეაგირების ფორმით, როგორც ამას აცხადებს რუსულ-აფხაზური პროპაგანდა (ერთ-ერთმა ასეთმა მითმა ახლაც გაიჟღერა სოხუმში გამართულ მრგვალ მაგიდაზე - ს. ჯინჯოლიას განცხადება 17%-ის შემცირებაზე).

მეგობრებო! 30 წელი არც თუ ისე მცირევადიანი ისტორიული დისტანცია და ამ დროით დისტანციის გადასახედიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ცოდნის გაფართოება და დებატები აფხაზეთის ომის შესახებ, კონკრეტულად 14 აგვისტო ფენომენის შესახებ: როგორ და რატომ მივიდა საქმე 14 აგვისტომდე, ოხურეისა და აგუძერას შეტაკებებამდე, რა ფაქტორებმა და გარემოებებმა განაპირობეს „აფხაზეთის კრიზისის“ გაღრმავება, მისი მოსწესრიგების პოლიტიკური მექანიზმების მოშლა და კრიზისის ომში გადაზრდა. ამასთან, დღევანდელ პირობებში ეს საკითხი აქტუალურიც არის, პრაგმატულიც და რელევანტურიც. ფაქტობრივად ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს საერთაშორისო სისტემის და მსოფლიო წესრიგის შეცვლის პროცესი. ჩვენი მთავარი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე სერიოზული ტექტონიკური ცვლილებების ზღურბლზე დგას. სრულიად ლოგიკურია და გარდაუვალი, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ რუსეთის მიერ, ასე

ვთქვათ, დაჩაგრული ქვეყნები განახორციელდნენ განსაზღვრულ აქტებს თავიანთი შეზღუდული სუვერენიტეტის აღსადგენად ამ პროცესში, ბუნებრივია, გაიხსნება შესაძლებლობათა ფანჯარა საქართველოსთვისაც და დადგება მოქმედების დრო. რასაკვირველია საქართველომ უნდა იმოქმედოს საკუთარი ეგზისტენციალური უსაფრთხოებისა და სტრატეგიული ინტერესების პრიორიტეტების საფუძველზე, ხოლო მოქმედების ფორმა და მეთოდებს განსაზღვრავს სიტუაციური ფორმატი, მომენტის თავისებურება. რა თქმა უნდა ჩვენი ძირითადი ორიენტაცია უნდა იყოს დიპლომატია, ჰუმანიტარული კონცეფციები და ფორმატები, მაგრამ შეიძლება მომენტის სპეციფიკამ დღის წესრიგში დააყენოს გარკვეული სტრატეგიები და ოპერატიულ-ტაქტიკური სქემები.

ყველა შემთხვევაში, 14 აგვისტოს ფენომენის ანალიზის მთავარი მიზანი უნდა იყოს აფხაზეთის განზომილების უფრო მეტი ჩართულობა საქართველოს სოციოპოლიტიკურ რეალობაში და, განსაკუთრებით, ფუნდამეტური გადაწყვეტილებების მიღების სისტემურ სტრუქტურებში.

მეგობრებო! ჩვენ არ ვაპირებთ და ვერც შევძლებთ 14 აგვისტოს ფენომენის ყოვლისმომცველ დახასიათებას, იმ პროცესის ფაქტებისა და მოვლენების ამომწურავ წარმოდგენას, რომელმაც მოგვიყვანა ომამდე. მითუმეტეს, რომ დღეს პრაქტიკულ კონფერენციაში მონაწილეობენ იმდროინდელი მოვლენების უშუალო მონაწილეები, რომლებიც გაციებით უფრო კომპეტენტურები და ინფორმირებულები არიან. ისინი, ალბათ, გამოხატავენ თავიანთ აზრს და მნიშვნელოვანად შეავსებენ ჩვენს მოკრძალებულ მოხსენებას (თვით დაწესებულება, სადაც ვიმყოფებით). გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე...

„აფხაზეთის კრიზისი“ – „დამოკლეს მახვილი“ საქართველოს თავზე ქართული სახელმწიფოს ისტორიული წინაღობა (გვიანდელი ფეოდალიზმი - თურქეთის იმპერია, XIX ს. 60-იანი წლებიდან - რუსეთის იმპერია...

- აფხაზეთის რუსიფიკაცია და ქართულ-აფხაზური კულტურული ერთობის დაშლის ღონისძიებები (XIX ს. 60-80-იანი წლებიდან);
- ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქიდან გაგრის ზონის ჩამორთმევა (1903-1904წწ);
- საქართველოს საეგზარქოსოდან სოხუმის ეპარქიის გამოყოფის მუდმივი მცდელობები;
- გენერალ დენიკინისა და ყუბანის ანტიბოლშევიკური მთავრობის აგრესიული სამხედრო პოლიტიკა 1918-1919წწ;
- ე.წ. „სიტინის გეგმა“ და საბჭოთა რეჟიმის ანტიქართული პოლიტიკა, განსაკუთრებით აფხაზეთის სტატუსის საკითხში 1920-იან წლებში;
- ე.წ. „საკურორტო რესპუბლიკის“ პროექტი (1945-1947წწ.);
- XX ს. 50-იანი წლებიდან კრემლის ანტიქართული ადმინისტრაციული და ენობრივ-კულტურული პოლიტიკა და აფხაზური ეთნოკრატიის შექმნა;
- ე.წ. „სუსლოვის დოქტრინა“ 1961წ.;

- საქართველოსგან აფხაზეთის არ გამოყოფის რეაქციული ლოზუნგით საკავშირო ცენტრის მხრიდან ინსპირირებული აფხაზური თავყრილობები 1957, 1967, 1977-1978 და 1989 წლებში (ე.წ. „ლიხნის დეკლარაცია“ და 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენები).

„აფხაზეთის კრიზისის“ გენეზისისა და ევოლუციის ყველა ეტაპის ანალიზს მივყავართ ერთადერთ დასკვნამდე - კრიზისის მთავრი წყარო და ამავე დროს, მისი პერმანენტული მოუწესრიგებლობის მთავარი გარანტი იყო და არის რუსეთი. ისტორიული ფაქტოგრაფია უბრალოდ არ იძლევა სხვა დასკვნის გაკეთების, ან ამავე დასკვნის ოდნავი კორექტირების შესაძლებლობას.

XX ს. 80-90-იანი წლების მიჯნაზე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ გამოიწვია „აფხაზეთის კრიზისის“ახალი გამოწვევა და გაღრმავება. მაგრამ ეს გამოწვევა ხელოვნურად იქნა მიყვანილი ისეთ მდგომარეობამდე, რომ შეიქმნა ომში მისი გადაჭრის წინაპირობები. 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების შედეგად საქართველოს ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძრაობა მოვიდა. ამ დროიდან აფხაზეთის სეპარატისტული ცენტრის სტრატეგიულ და რეგიონალურ ინტერესებს, ხოლო სსრკ-ს დაშლის შემდეგ - სამხრეთ კავკასიაზე ექსკლუზიური ბატონობა აღადგენს რუსულ პოლიტიკას.

შექმნილ გეოსტრატეგიულ, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის იდეისა და სუვერენული პოლიტიკის განხორციელების ვითარებაში რუსეთ-საქართველოს ომი გარდაუვალი იყო, შესაბამისად ეს ომი არ იქნებოდა საქართველოს მხრიდან ადექვატურ პოლიტიკაზე უარის თქმის შემთხვევაში. აქ მთავარია ომის გარდაუვალობის ფაქტორი და არა საკითხი იმის შესახებ, თუ სად და როდის დაიწყებოდა ის - 1991 წლის 8 იანვარს ცხინვალში, 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში თუ 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში.

ვ. არძინბას დაჯგუფება „აიდგილარაზე“ დაყრდნობით ატარებს დესტრუქციულ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომელიც პირველ ეტაპზე მოიცავდა ორ ურთიერთდაკავშირებულ ტენდენციას. პირველი - აფხაზეთში ანტიქართული, ანტიდემოკრატიული და პროიმპერიული პარტიების ქსელის შექმნა - „აფხაზეთის სახალხო რესპუბლიკა“ (ი. ლაკობა, 1991 წ. თებერვალი), „სლავური სახლი“ (ვ. ლოგინოვი, 1991 წ. 23 აპრილი), „კრუნქი“ (ა. ტოპოლიანი, 1991 წელს).

მეორე - კონსტიტუციონალისტური კონფლიქტი („კანონთა ომი“) ცენტრალურ ხელისუფლებასთან: მონაწილეობა ე.წ, „ნოვო-ოგარიოვოს პრიცესში (1991 წ. აპრილ-ივნისში); 17 მარტის უკანონო რეფერენდუმი სსრკ შენარჩუნების საკითხზე (გაუგონარი ფალსიფიკაცია - ამომრჩეველთა სიიდან გალის მოსახლეობის ამოღება, სხვადასხვა მანიპულირება, მაინც 50,3%); 31 მარტის რეფერენდუმი - მონაწილეობდა საერთო რაოდენობის 61,27%, ხმა მისცა 97,73%-მა ანუ საერთო რაოდენობის 60%-მა. იგივე შედეგები - 26 მაისისი არჩევნებზე. რეფერენდუმებისა და არჩევნების ეფექტი- კრემლის ორიენტაცია სამხედრო ესკალაცია.

ზ. გამსახურდიას ხელისუფლებას კარგად ესმოდა, საჭირო იყო აფხაზეთში უაღრესად ფრთხილი რეგიონალური პოლიტიკის გატარება, პრინციპული, მაგრამ რამდენიმე კომპრომისული და დაძაბულობის თავიდან აცილებისკენ მიმართული ნაბიჯების გადადგმა. საქართველოში რუსეთის ჯარების არსებობა, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტი, აჭარაში მეორე ფრონტის გახსნის მცდელობა, მაშინდელი დასავლეთის ფაქტობრივი ჩართულობა კავკასიურ პროცესებში და რეგიონული უსაფრთხოების პროექტების არარსებობა მოითხოვდა სწორხაზოვანი პოლიტიკის უარყოფას და მეტ ტაქტიკურ მოქნილობას.

1991წ. ივნის-ივლისში ინტენსიური პოლიტიკური კონსულტაციები 26 ივნისს სოხუმში არძინბასა და ბურჭულაძის შეხვედრა არაკონსტრუქიულ გარემოში. 2 ივლისს - მათ წამოაყენეს ორპალატიანი პარლამენტის პროექტი, რაც ჩვენმა მხარემ იმთავითვე ჩააგდო და ალტერნატივის სახით შესთავაზა ერთპალატიანი უმაღლეის საბჭო ეთნიკური კვოტებით 28+26+11. 9 ივლის სახალი საარჩევნო კოდექსი და 27 აგვისტოს კანონი კონსტიტუციის 96-ე მუხლის (სამართლებრივ სტატუსზე) ახალი რედაქციის შესახებ...

თბილისის გადატრიალება: რუსეთის მხარდაჭერა და უშუალო ჩართულობა; მხარდაჭერის რუსული ძალებისა და სტრუქტურების კოორდიანცია - „ბურბულისის კომიტეტი“.

გადატრიალებამ დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ ინტერესებს აფხაზეთში. მათ შორის ყველაზე დრამატული იყო ორი რამ: 1) აფხაზეთის რეცესიის აღკვეთის და სეპარატისტული კანონმდებლობის შეჩერების პოლიტიკური ღერძი - პრეზიდენტის ინსტიტუტი უკვე აღარ იყო. არაელექტორალური სახელმწიფო საბჭო ამ მხრივ უაღრესად არაეფექტური იყო ფაქტობრივადაც და იურიდიულადაც. სამწუხაროდ ოფიციალურმა თბილისმა დაკარგა აფხაზეთის გამოყოფაზე ვეტოს პოლიტიკური მექანიზმი. 2) აფხაზეთში მოქმედი ქართული ძალების კონფრონტაციამ და გათიშულობამ გამორიყა ერთიანი ანტისეპარატისტული ფრონტის შექმნა.

ყოველივე ამით, ბუნებრივია ისარგებლა არძინბამ და დაიწყო აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის პოლიტიკური, სამართლებრივი და სამხედრო-ადმინისტრაციული აქტების მიღება: 1991 წ. 29 XII - ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო ნაწილები გადადიოდნენ ეს თავმჯდომარის იურისდიქციაში იქნებოდა „დროებითოი სამხედრო საბჭო“.

1992 წ. 31 მარტის დადგენილება „აფხაზეთის შინაგანი ჯარების პოლკის შექნის შესახებ.

სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის ინტერპარტიული კომისიისა და მისი 2 თებერვლის შეხვედრა სოხუმში: ფედერალური ხელშეკრულება, მაგრამ აფხაზებმა მოითხოვეს სიტყვა „ავტონომიის ამოღება და სიმბოლიკის შეცვლა. პროექტი ჩავარდა...

1992 წ. მაისის დასაწყისში არძინბამ უხეშად დაარღვია არსებული შეთანხმება და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი სტრუქტურების საკადრო პოლიტიკა აწარმოა აფხაზური ეთნოკრატიის ცალმხრივი ინტერესების საფუძველზე. 5 ივნისს ჩამოყალიბდა ე.წ. „აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტი“. იმავე დღეს მიღებული ე.წ. „აფხაზეთის ეროვნული ხსნის კომიტეტის დეკლარაცია“ წარმოადგენდა ფააქტობრივი სამხედრო ესკალაციის არაპირდაპირი და ღია მოწოდებას მობილიზაციისა და ომისკენ.

ერთის მხრივ, აფხაზეთში პოლიტიკური პროცესის კრიზისული განვითარება მიდიოდა ქართული და სეპარატისტული ძალების დაძაბული ურთიერთობა მიდიოდა ქართული და სეპარატისტული ძალების, დაძაბული ურთიერთობის ხაზით, მაგრამ სწორედ რუსეთის ჩარევის ფაქტორმა მიანიჭა ამ ურთიერთობებს კონფრონტაციისა და შინაგანი ესკალაციის წონადი პოტენციალი. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია კრიზისის ომში გადაზრდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამგვარი გადაზრდა და 14 აგვისტოს დადგომა არ იყო ექსკლუზიურად რუსული სცენარი. 1992 წ. ზაფხულისთვის რუსეთის გავლენამ პოლიტიკურ ფაქტორებზე და ძალთა თანაფარდობის კონფიგურაციაზე თავისებური ნიშნები შეიძინა. თუ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს კრემლის არ ჰქონია გავლენა ოფიციალურ თბილისზე და თავის თამაშში ჩართვის ბერკეტები, ახლა უკვე ჰქონდა. თანაც ამ დროისთვის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება ერთგვარად განმტკიცებული იყო, კონსტიტუციონალისტური მოძრაობა დამარცხებული და მისი ძირითადი ცენტრები სწორედ აფხაზეთში იყო გადაჯგუფებული. კრემლში ჩათვალეს, რომ ამ ეტაპზე ცალმხრივად პროაფხაზური კრიზისის გატარება არ შეესაბამებოდა კრიზისის ომში გადაზრდის რუსულ ინტერესებს, არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მომავალ ომში რუსეთს ექნებოდა „შუამავლისა“ „მშვიდობისმყოფელის“ სტატუსი. ამიტომ კურსი აღებულ იქნა ომისკენ ორივე მხარის წახალისება-სტიმულირებაზე. 1992 წ. ივნისში სწორედ ქართული და აფხაზური ძალების ორმხრივი გარანტიების ტაქტიკას და აქტიურად მუშაობდა ორი პარალელური ხაზით.

არის არაოფიციალური მონაცემები და რაც მთავარია, მოვლენათა განვითარების ლოგიკა, რომ 1992 წ. 24 ივნისის დაგომისის შეხვედრაზე ე. შევარდნაძემ ბ. ელტონისაგან მიიღო აფხაზეთში სამხედრო ოპერაციის ჩატარების სანქცია, რუსეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის გარანტიით.

1992 წ. 18 ივლისს სოჭში, „ბოჩაროვ რეჩეის“ სახელმწიფო აგარაკზე გაიმართა ბ. ელტონის არაოფიციალური საიდუმლო შეხვედრა არძინბასთან და აფხაზური ელიტის წარმომადგენლებთან. ზუსტად ხუთ დღეში, 23 ივლისს უმაღლესი საბჭოს აფხაზურმა ფრაქციამ, პროცესიალური ნორმების უხეში დარღვევით და კვორუმის არარსებობის პირობებში მიიღო ანტიკონსტიტუციური აქტი - დადგენილება 1978 წლის კონსტიტუციის გაუქმებისა და 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენის შესახებ. იმავე დღეს მიღებულ მეორე დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთი მზად არის აღადგინოს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობები საქართველოსთან განსაკუთრებული ხელშეკრულების

საფუძველზე. მაგრამ ხელშეკრულების პროექტი არ ითვალისწინებდა ერთიან შეიარაღებულ ძალებს, ერთიან საგარეო პოლიტიკას, ერთიან ფინანსურ და სამართლებრივ სივრცეს და სხვა. ეს არათუ ფედერაციის, არამედ ორსუბიექტიანი კონფედერაციის პრინციპებს კი არ შეესაბამებოდა. ამიტომ 23 ივლისის აქტით სეპარატისტებმა მოახდინეს საქართველოს შემადგენლობიდან უკანონო გამოსვლის დეკლარირება, ხოლო „ბოჩაროვ რუჩეის“ თათბირზე რუსეთისაგან მიიღეს ომის დაწყების სანქცია, რუსეთის სამხედრო ჩარევის გარანტიით.

23 ივლისის ანტიკონსტიტუციურმა აქტმა შექმნა აშკარა ფსიქო-ლოგიკური ეფექტი: არაძალადობრივი მეთოდების ამოწურვადობის, სამხედრო ოპერაციის გარეშე აფხაზეთის სეცესიის აღკვეთის შეუძლებლობას.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

დაზმირ ჯოჯუა

13.08.2022 წელი